

ვ ი ხ ს ე ნ ე ბ თ კ ო ლ ე გ ე ბ ს



პროფესორი მიხეილ ნოდია – 130

მიმდინარე წელს დაბადების 130 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ მეცნიერს, ცნობილ მაგნიტოლოგსა და გეოფიზიკოსს, მეცნიერული კვლევების ბრწყინვალე ორგანიზატორს, რამოდენიმე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების დამაარსებელს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მიხეილ ნოდიას. პროფესორ მიხეილ ნოდიას სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების განვითარება.

მიხეილ ნოდია დაიბადა 1891 წლის 15 აგვისტოს დაბა აბაშაში, მოსამსახურის ოჯახში. ოჯახში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა იყო, სადაც ქართული სასულიერო და საერო წიგნების გარდა, მრავლად იყო სხვადასხვა სახელმძღვანელო რუსულ, სლავურ, ძველბერძნულ, ლათინურ და ფრანგულ ენებზე, აგრეთვე მრავალი ლექსიკონი. ამის გამო მ. ნოდიას ადრე გამოუმუშავდა დამოუკიდებელი მეცადინეობის ჩვევები. პირველდაწყებითი განათლება მან ქ. სენაკში სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიღო. 1910 წელს ვერცხლის მედლით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ მეცნიერებათა განყოფილებაზე და მას, როგორც მედალოსანს დაენიშნა სახელმწიფო სტიპენდია. სახელმწიფო მომსახურების ჩაბარება ველარ შეძლო, ვინაიდან რუსეთის ჯარში გაიწვიეს და 1916-1917 წლებში მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში. სახელმწიფო მომსახურების ჩაბარება ველარ შეძლო, ვინაიდან რუსეთის ჯარში გაიწვიეს და 1916-1917 წლებში მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში. სახელმწიფო მომსახურების ჩაბარება ველარ შეძლო, ვინაიდან რუსეთის ჯარში გაიწვიეს და 1916-1917 წლებში მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში. სახელმწიფო მომსახურების ჩაბარება ველარ შეძლო, ვინაიდან რუსეთის ჯარში გაიწვიეს და 1916-1917 წლებში მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში. სახელმწიფო მომსახურების ჩაბარება ველარ შეძლო, ვინაიდან რუსეთის ჯარში გაიწვიეს და 1916-1917 წლებში მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში. სახელმწიფო მომსახურების ჩაბარება ველარ შეძლო, ვინაიდან რუსეთის ჯარში გაიწვიეს და 1916-1917 წლებში მონაწილეობა მიიღო პირველ მსოფლიო ომში.

პროფ. ა. დიდებულიძესთან, ხელმძღვანელობს ლაბორატორიულ სამუშაოებს და კითხულობს ლექციებს ფიზიკის სხვადასხვა დარგში. 1923 წელს პროფ. ა. დიდებულიძის რჩევით მ. ნოდია გადადის სამუშაოდ თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში მისი ერთ-ერთი მთავარი განყოფილების – კარსანის მაგნიტური ობსერვატორიის ხელმძღვანელად.

კარსანის ობსერვატორიის მუშაობის აღდგენა-გაფართოებისათვის 1924 წლის სექტემბერში მ. ნოდია მიავლინეს ქ. ლენინგრადში, რუსეთის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, სადაც მუშაობდა გამოჩენილ მეცნიერთა – პ. მოლჩანოვის, ნ. კალიტინის, ს. სავინოვის, პ. ტვერსკოის და სხვ. ხელმძღვანელობით. თბილისში დაბრუნებისთანავე მ. ნოდია შეუდგა კარსანის ობსერვატორიაში დაკვირვებების აღდგენას და სათანადო კადრების მოძიებას. აქ მ. ნოდიას მიერ შესრულებული მუშაობის შესახებ დედამიწის მაგნეტიზმის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი, ლენინგრადის უნივერსიტეტის და საზღვაო აკადემიის პროფესორი ნ. როზე წერდა: „მ. ნოდიას სრულიად მოშლილ მდგომარეობაში დახვდა კარსანის მაგნიტური ობსერვატორია, რომელმაც სამოქალაქო ომის პერიოდში დაკარგა მთელი კვალიფიციური პერსონალი. მ. ნოდიას ენერგიული და კომპეტენტური საქმიანობის შედეგად გადარჩა სსრ კავშირის ერთ-ერთი ისეთი უძველესი მაგნიტური ობსერვატორიის მეცნიერული მონაპოვარი, როგორცაა ობსერვატორია თბილისში და მასთან მემკვიდრეობით დაკავშირებული ობსერვატორია კარსანში“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარსანის ობსერვატორია ემსახურებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დიდ ტერიტორიას, სახელდობრ მის სამხრეთევროპულ ნაწილს და კასპიის, შავი და აზოვის ზღვების აკვატორიებს. ცნობილია, რომ მაგნიტური ობსერვატორიების მონაცემებზე დაყრდნობით დგება ზუსტი მაგნიტური რუკები, ამათ საფუძველზე კი შეისწავლება დედამიწის სიღრმული აგებულება, სასარგებლო წიაღისეულთა კვლევა-ძიება, კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ფიზიკური პროცესები და სხვ. მ. ნოდია კარსანში იკვლევდა მაგნიტური ველის მიკროსტრუქტურას, რამაც შესაძლებლობა მისცა შეემოწმებინა, თუ რამდენად აკმაყოფილებდა ობსერვატორია საერთაშორისო ნორმებს. 1926 წელს პროფ. ნ. ტრუბიანტჩინსკიმ და მ. ნოდიას მიერ კარსანის ობსერვატორიის სტანდარტების შედარებამ პავლოვსკის ობსერვატორიის სტანდარტებთან დაადასტურა, რომ ობსერვატორიის მუშაობა სავსებით აკმაყოფილებდა საერთაშორისო ნორმებს.

1925 წელს საქართველოს კომისარიატის ბრძანებით, მ. ნოდია დაინიშნა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად. მან მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას, ჩამოაყალიბა რა ახალი განყოფილებები, საგრძნობლად გააფართოვა ობსერვატორიის მუშაობა, მოიწვია ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობის მრავალი ახალგაზრდა. ობსერვატორიაში დაიწყო დაკვირვებითი მასალის გამოცემა საერთაშორისო ნორმის გათვალისწინებით. იგი გამოდიოდა ყველა სპეციალობაში „წელიწდეულის“ სახით ქართულ, რუსულ და ერთ-ერთ უცხოურ ენებზე და გაცვლის წესით ეგზავნებოდა მსოფლიოს ყველა ობსერვატორიას. კარსანის ობსერვატორია, რკინიგზის ელექტროფიციერების გამო მომავალში ვეღარ შეძლებდა ნორმალურ ფუნქციონირებას, საჭირო გახდა მისი გადატანა ახალ საიმედო ადგილზე. შეიქმნა სათანადო კომისია მ. ნოდიას თავმჯდომარეობით. კომისიამ ახალი ობსერვატორიის ასაშენებელ ადგილად ქ. დუშეთი მიიჩნია. დუშეთის მაგნიტური ობსერვატორია ფუნქციონირებს 1935 წლიდან. 1931-1935 წლებში ჩატარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გენერალური მაგნიტური აგეგმვა. მ. ნოდიას დაევალა ამიერკავკასიის ტერიტორიის მაგნიტური აგეგმვის ორგანიზაცია და სამეცნიერო ხელმძღვა-

ნელობა. სხვადასხვა დროს მოეწყო რვა მაგნიტური ექსპედიცია. მაგნიტური აგეგმვის ვადამდე წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით მ. ნოდიას და 16 მეცნიერს გამოეცხადათ სახკომსაბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ცენტრალური სამმართველოს მადლობა.

1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტთან მ. ნოდიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა გეოფიზიკის კათედრა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე.

ბატონი მ. ნოდია იყო ინიციატორი და ერთ-ერთი დამაარსებელი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებასთან არსებული გეოფიზიკური ინსტიტუტისა. ინსტიტუტი დაარსდა 1933 წელს, ბატონი მიხეილი დაინიშნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ და ერთდროულად ხელმძღვანელობდა ექსპერიმენტული გეოფიზიკის განყოფილებას. 1938 -1941 წლებში მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად. ხოლო 1941-1943 წლებში – გაერთიანებული გეოფიზიკისა და ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად, 1943 წელს მან პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა. ბატონი მიხეილი 1934 წლიდან ბრძანდებოდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმის წევრი. მ. ნოდია 1937 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტაცია წარმოადგენდა ფუნდამენტურ გამოკვლევას, რომელიც მონოგრაფიის „კავკასიის ყელის მაგნიტური ველი“ სახით დაიბეჭდა გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომებში. საქართველოში ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია დაცული გეოფიზიკის დარგში. 1938 წელს მ. ნოდიას მიენიჭა პროფესორის წოდება, 1944 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. პროფ. მ. ნოდია გეოფიზიკის ინსტიტუტში დაარსა ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს განყოფილებები, პროფესორ კ. ზავრიევთან ერთად დაარსა გეოფიზიკის ინსტიტუტთან ანტისეისმური მშენებლობის ბიურო. პროფ. მ. ნოდია 1941 – 1948 წლებში მუშაობდა შეთავსებით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფიზიკის კათედრის გამგედ, დიდი გამოცდილების მეშვეობით კათედრის მუშაობა მაღალ მეცნიერულ-პედაგოგიურ დონეზე აიყვანა. მუშაობაში ჩააბა კათედრის, ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები და შეუდგა ზოგადი ფიზიკის კურსის შედგენას ოთხ ტომად. 1953 წელს თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ბაზაზე დაარსა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

1957 წლიდან 1975 წლამდე ბატონი მიხეილი მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტის დედამიწის მაგნეტიზმის განყოფილების გამგედ. პროფ. მ. ნოდიას ძირითადი მეცნიერული გამოკვლევები მიძღვნილია დედამიწის მაგნეტიზმის პრობლემებისადმი. მან შეისწავლა კავკასიის მაგნიტური ველი, შეადგინა მისი განაწილების რუკები. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შედგენილია დედამიწის მაგნიტური ველის კატალოგი. ეს 1900-1956 წლების ობსერვატორიული მონაცემები მტკიცე საფუძველს წარმოადგენენ დედამიწის მაგნეტიზმის, ატმოსფეროს ზედა ფენებისა და, აგრეთვე, მზისა და კოსმოსის გავლენით ჩვენს პლანეტაზე მიმდინარე სხვადასხვა ფიზიკური პროცესის ღრმა შესასწავლად. 1957-1959 წლებში პროფ. მ. ნოდია მონაწილეობდა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ჩატარებაში. ასევე ცნობილია მისი ინიციატივით გეოფიზიკის კათედრის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტ-

თან ჩატარებული არქეომაგნიტური გამოკვლევები, რომელთა საფუძველზე საქართველოში დათარიღებულია 14 არქეოლოგიური ობიექტი. პროფ. მ. ნოდია ავტორია 116 შრომისა, მათ შორის მონოგრაფიების, რამოდენიმე სახელმძღვანელოსი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, გეოფიზიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის და სხვ. შრომებში ძირითადად წარმოდგენილია დედამიწის მაგნეტიზმის გამოკვლევების შედეგები. მისი ყველა ძირითადი შრომა პრაქტიკაშია დანერგილი და გამოყენებული. ბატონი მიხეილი იყო აგრეთვე მეცნიერული მიღწევების დიდი პოპულარიზატორი, უაღრესად აქტიურ შრომას ეწეოდა საზოგადოება „ცოდნაში“ მისი დაარსებისთანავე. ბატონი მიხეილი იყო „ცოდნის“ რესპუბლიკური გამგეობისა და თბილისის საქალაქო განყოფილების დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი. მას რამოდენიმეჯერ მიღებული ჰქონდა საზოგადოება „ცოდნის“ ჯილდოები.

1941 წელს პროფესორი მ. ნოდია დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და საქართველოში დედამიწის მაგნიტიზმის კვლევების დაწყებიდან 125 წლისთავთან დაკავშირებით პროფ. მ. ნოდია 1970 წელს დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პროფესორი მიხეილ ნოდია გარდაიცვალა 1975 წლის 4 აგვისტოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრის №134 კაბინეტს, სადაც განთავსებული იყო მაგნიტური ლაბორატორია და ტარდებოდა კათედრის სხდომები, მიენიჭა მ. ნოდიას სახელი, იქ მოთავსდა აგრეთვე ბატონი მიხეილის ნაჩუქარი მდიდარი ბიბლიოთეკა. კათედრაზე დაარსდა პროფესორ მ. ნოდიას სახელობის სტიპენდია. 2008 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერების თვალსაჩინო საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის (სამ წელიწადში ერთხელ) დააწესა მიხეილ ნოდიას სახელობითი პრემია. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 17 აპრილის № 439 დადგენილებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს მიეკუთვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პროფესორ მიხეილ ნოდიას სახელი.

ბატონი მიხეილი ბრძანდებოდა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, მას ახასიათებდა დიდი ერუდიცია მეცნიერების მრავალ დარგში, ბრწყინვალედ ფლობდა უცხო ენებს, მათ შორის – ლათინურ ენას. ცნობილია, რომ გაუსის შრომის ლათინური დედანის და მისი გერმანული თარგმანის შედარებისას ბატონმა მიხეილმა აღმოაჩინა არასწორად თარგმნილი ადგილები. ბატონი მიხეილი „იყო უდიდესი კეთილშობილების, პატიოსნების, პრინციპულობის და პირდაპირობის განსახიერება და გამოირჩეოდა ადამიანთა მიმართ კეთილმოსურნეობით“.

*გეოფიზიკის ინსტიტუტისის სამეცნიერო საბჭოს
თავმჯდომარე, აკადემიკოსი თ. ჭელიძე
ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიური დოქტორი ნ. ღლონტი
დირექტორის მოადგილე პროფესორი ჯ. ქირია
საგამომცემლო ჯგუფის უფრ. ლ. დარახველიძე*

ПАМЯТИ КОЛЛЕГ

ПРОФЕССОР МИХАИЛ ЗОСИМОВИЧ НОДИА (1891 – 1975)

15 августа текущего года исполнилось 130 лет со дня рождения одного из крупнейших магнитологов, видного ученого и педагога, заслуженного деятеля науки, доктора физико-математических наук, профессора Михаила Зосимовича Нодиа. Вся организационная и научная деятельность М.З. Нодиа, начиная с 1920 года, тесно связана с развитием геофизической науки в Грузии. Имя М.З. Нодиа хорошо известно среди ученых геофизиков, как автора значительных научных трудов по земному магнетизму и организатора научных исследований. Благодаря его плодотворному труду в Грузии нашли свое развитие многие направления геофизики, на базе Геофизической обсерватории Грузии им основаны новые геофизические учреждения, а именно: Управление Гидрометеорологической службы Грузии в 1932 году, Институт геофизики, Тбилисский научно-исследовательский гидрометеорологический институт в 1953 году.

Постоянная забота о расширении и углублении научной и практической деятельности геофизических учреждений, о подготовке высококвалифицированных кадров в различных областях геофизики, неутомимая деятельность по обеспечению непрерывной работы Магнитной обсерватории, обслуживающей территорию Кавказа и тщательные исследования на этой территории магнитного поля и его вековой вариации, впервые внедрение геофизических методов в практику разведки полезных ископаемых в Закавказье, постоянное совершенствование методов обсерваторских, полевых, лабораторных магнитных измерений и их обработки и интерпретации, ведение курса лекций по физике и геофизике в Тбилиском государственном университете и в Государственном политехническом институте, по геофизическим методам разведки в Закавказском горно-металлургическом институте, создание на грузинском языке первых учебников в различных областях геофизики – вот основное содержание научной деятельности профессора М.З. Нодиа.

М.З. Нодиа родился 15 августа 1891 года в с. Абаша. В 1910 году с серебряной медалью окончил Кутаисскую классическую гимназию. В 1912-1916 годах учился на физико-математическом факультете Одесского университета. В 1916-1917 гг. во время Первой Мировой войны служил в Российской армии. В 1919 г. сдал государственные экзамены в Тбилиском государственном университете и начал работать на кафедре физики у проф. А. Дидебулидзе. С 1923 г. работает в физической обсерватории Грузии, возглавил, вышедшую из строя во время мировой и гражданской войн, магнитную обсерваторию в Карсани. После стажировки в Главной геофизической обсерватории в Ленинграде, в 1924 году М.З. Нодиа энергично взялся за восстановление магнитных наблюдений в Карсани и подготовку технических кадров. Было возобновлено регулярное производство наблюдений и был обработан материал проведенных вариационных наблюдений за 1917-1924 годы. Было спасено научное достояние одной из старейших обсерваторий бывшего Советского Союза, каковой является Тбилисская обсерватория и являющаяся ее наследницей обсерватория в Карсани. Из-за электрофикации железной дороги Тбилиси-Поти была нарушена нормальная работа Карсанской обсерватории. С 1935 года, вместо Карсанской, начала функционировать Душетская магнитная обсерватория. В результате специальных исследований Душети было подобрано комиссией под председательством М.З.Нодиа. В 1925-1933 гг. М.З. Нодиа – директор Грузинской геофизической обсерватории. В 1933 году в Тбилиском государственном университете, при физико-математическом факультете М.З. Нодиа организовал кафедру геофизики и руководил ею до 1975 года. В том же году по инициативе М.З. Нодиа совместно с директором Сейсмологического института в Ленинграде проф. П.М. Никифоровым, проф. Н.И. Мухелишвили, проф. Е.И. Бюсом и доц. А.Д.Цхакая основал Геофизический инс-

титут при Грузинском отделении Закавказского филиала АН. СССР, но известно, что М.З. Нодиа «на своих плечах перенес всю тяжесть создания института».

По постановлению правительства Советского Союза в 1931-1935 гг. была проведена Генеральная магнитная съемка всей территории страны. Проведение этих работ на территории Закавказья было поручено М.З. Нодиа, оно успешно было завершено досрочно в 1934 году. В 1937 году М.З. Нодиа защитил диссертацию на соискание научной степени доктора физико-математических наук на тему «Магнитное поле Кавказского перешейка». Эта фундаментальная работа являлась первым в бывшем СССР исследованием-опытом обработки методом Гаусса-Симонова абсолютных определений Генеральной магнитной съемки. На основе 868 абсолютных пунктов на территории Кавказа М.З. Нодиа впервые составил магнитные карты действительных и теоретических составляющих поля и их изаномал, а также геомагнитных элементов. В 1938 г. М.З. Нодиа утвержден в ученое звание профессора по специальности «Геофизика».

В 1938-1943 гг. М.З. Нодиа работал директором Геофизического института, а затем объединенного Института физики и геофизики. В 1939 г. при Геофизическом институте организовал бюро антисейсмического строительства. В 1943 г. по собственному желанию ушел с поста директора, но руководил магнитным отделом, в 1957-1975 гг. был заведующим отделом земного магнетизма Института геофизики. В разное время работал зав. кафедрой физики в Грузинском политехническом институте, читал лекции по физике и геофизике в Государственном университете, впервые в Закавказье читал лекции по геофизическим методам разведки в Закавказском горно-металлургическом институте, что способствовало внедрению в практику разведки этих передовых методов в Закавказье.

В 1957-1959 гг. М.З. Нодиа как член Межведомственного комитета при Академии наук Грузии, руководил проведением магнитных исследований в Грузии по программе Международного Геофизического Года на базе магнитной обсерватории в Душети. Большое значение имеют исследования М.З. Нодиа в области палеомагнетизма горных пород и поисков и разведки месторождений полезных ископаемых магнитными методами. На территории Грузии и примыкающих территориях им установлены и изучены многочисленные локальные магнитные аномалии. Проф. М.З. Нодиа является автором более 130 научных трудов, в том числе монографий, учебников по физике, геофизике и геофизическим методам разведки, популярных книг по геофизике, научной терминологии по геофизике. Проф. А.В. Бухникашвили, директор нашего института в 1953-1972 гг., считал, что «эти учебники отличаются ясностью изложения, высоким научным уровнем, полнотой изложения и увлекательностью содержания». Общеизвестны заслуги проф. М.З. Нодиа в деле подготовки высококвалифицированных кадров по геофизике. Под его научным руководством защищено множество диссертаций, а также по его инициативе для научной подготовки и повышения квалификации направлялись кадры в научные центры в Москву и Ленинград.

За свои заслуги в области развития геофизической науки проф. М.З. Нодиа неоднократно удостоивался правительственных наград, благодарностей, еще в 1927 году за особые заслуги в деле развития Украинской метеорологической службы был награжден указом СНК Украины юбилейным значком. В Грузии, естественно, ему было присвоено звание заслуженного деятеля науки (1944 г.), в 1947 г. награжден орденом «Знак Почета», в 1961 г. – орденом Ленина, а в 1972 году награжден Почетной грамотой Президиума Верховного Совета Грузии.

Профессор Михаил Зосимович Нодиа скончался 4 августа 1975 года. Похоронен в пантеоне общественных деятелей на кладбище Ваке в Тбилиси.

На кафедре геофизики Тбилисского государственного университета основан кабинет им. проф. М.З. Нодиа, в котором размещена подаренная Михаилом Зосимовичем богатая библиотека. На кафедре учреждена стипендия им. проф. М.З. Нодиа. В 2008 году Национальная академия наук учредила премию им. проф. М.З. Нодиа. Имя Михаила Зосимовича Нодиа в 1992 году присвоено Институту геофизики Грузии.

ლიტერატურა – Литература

1. А.В. Бухникашвили, М.С. Абакелиа. Статья :М.З. Нодиа-70.- Тр. Ин-та геофиз. Т.19.-1960г. –С.259-264.
2. მ. იოსელიანი, ვ. პაპალაშვილი. მიხეილ ნოდია-100. -1991 წ. -11 გვ.
3. ი. გოგატიშვილი, ნ. ხვედელიძე. მიხეილ ნოდია-100. მეცნიერება.-1991.-30გვ.
4. მიხეილ ნოდია. ბიობიბლიოგრაფია. -მეცნიერება-2001.-70 გვ.
5. ფიზიკის ფაკულტეტის გეოფიზიკის კათედრის ისტორია. თსუ-ს გამომცემლობა.-2018 წ.-30.გვ.

*Председатель Уч. совета Инст-та геофизики академик Т.Л. Челидзе
Директор Ин-та академический доктор НЯ. Глонти
Заместитель директора профессор Дж.К. Кириа
Рук. издательской груп. Л.К. Дарахвелидзе*



ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ანზორ გველესიანი

2020 წლის 12 დეკემბერს გარდაიცვალა გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თვალსაჩინო ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ატმოსფეროს, იონოსფეროს და მაგნიტოსფეროს ფიზიკის გამოჩენილი მკვლევარი, ღირსების ორდენის კავალერი, ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფრიად განათლებული პიროვნება, გულისხმიერი კოლეგა და მეგობარი ანზორ გველესიანი.

ა. გველესიანი დაიბადა 1937 წლის 12 აგვისტოს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. მამა დაეღუპა მეორე მსოფლიო ომში. დედამ, სამედიცინო დარგის მუშაკმა, ღირსეულმა პიროვნებამ მართომ აღზარდა ორი შვილი, ჩაუნერგა მათ შრომის, პატიოსნების, წიგნის და ბევრი სხვა სიკეთის სიყვარული. ანზორ გველესიანმა ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა, 1960 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი სპეციალობით „თეორიული ფიზიკა“. ა. გველესიანი 1961 წლიდან გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელია. მუშაობის დაწყების დღიდან ის თავდადებულად ემსახურებოდა გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებას.. ჯერ მუშაობდა ატმოსფეროს ფიზიკის განყოფილებაში, მონაწილეობდა განყოფილებაში მიმდინარე თეორიულ და ექსპერიმენტალურ გამოკვლევებში, გაიარა საასპირანტურო კურსი და 1970 წელს ლენინგრადის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია

თემაზე: „სეტყვის მარცვლების ევოლუციის ზოგიერთი საკითხები“. 1974 წლიდან ა. გველესიანი აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას ინსტიტუტში პროფ. ა. ხანთაძის მიერ ახლად გახსნილ იონოსფეროს ფიზიკის განყოფილებაში, სადაც მიმდინარეობდა თეორიული და ექსპერიმენტული ინტენსიური გამოკვლევები ზედა ატმოსფეროს ფიზიკის დარგში, 1981 წლიდან კი – თეორიული გამოკვლევები იონოსფერულ და მაგნიტოსფერული პლაზმის დინამიკაში. ა. ფრიდმანის ცნობილი თეორიის გამოყენებით ა. ხანთაძემ და ა. გველესიანმა ეტაპობრივად ამოხსნეს ზედა ატმოსფეროს დინამიკის აქტუალური საკითხები: იონოსფერული ნეიტრალური ქარების დინამიკა, პლანეტარული მასშტაბის მქონე ტურბულენტური სტრუქტურები, მაგნიტურ ჰიდროდინამიკაში ცნობილი დინამიკური შესაძლებლობის პირობები. განყოფილებაში ვითარდებოდა მაგნიტო-ჰიდროდინამიკური (მჰდ) და ელექტრო-მაგნიტური (ემ) პლანეტარული მასშტაბის მქონე ტალღების ახალი შტოების წარმოშობის შესწავლა იონოსფეროში მზის სხვადასხვა აქტივობის დროს; მეზოსფეროსა და ქვედა თერმოსფეროს ტურბულენტური არეების მეზომასშტაბური გრიგალების იერარქიის არსებობის ანალიზური შესწავლა სხვადასხვა გეოფიზიკურ არეებში (დედამიწის თხევადი ბირთვი, ოკეანე, ქვედა და ზედა ატმოსფერო, მაგნიტოსფერო) მიმდინარე კონვექციური მოძრაობების ლაბორატორიული მოდელირება. ა. გველესიანმა 1979 წელს თბილისში, გეოფიზიკის ინსტიტუტის სპეციალიზირებული საბჭოს სხდომაზე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „გამტარი ატმოსფეროს მოძრაობების კვლევები და იონოსფეროს დინამიკის პრობლემები“. 1993-2006 წლებში ხელმძღვანელობდა იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროს ფიზიკის განყოფილებას, 2006 წლიდან კი მზე-დედამიწის კავშირების ფიზიკის სექტორს, 2016 წლიდან ის ატმოსფეროს ფიზიკის სექტორის მთავარი მეცნიერი თანამშრომელია. ა. გველესიანი მონაწილეობდა პროექტების „საქართველოში ბუნებრივი და ანთროპოგენური ატმოსფერული მახასიათებლების და მოვლენების კვლევა უსაფრთხო ეკოსისტემების შექმნის და ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნით“ და „მზის სისტემა. მზე-დედამიწის კავშირები. გარეატმოსფერული ასტროფიზიკა“ დამუშავებაში. 2020 წლის ბოლოს მან გამოსაცემად მოამზადა ორი მონოგრაფია დედამიწის იონოსფერულ-მაგნიტოსფერული პლაზმის დინამიკის საკითხებში და საღრუბლო, ტურბულენტურ ატმოსფეროში წყლის ფაზური გადასვლების კინეტიკის შესახებ. სამწუხაროდ მონოგრაფიები გამოიცა დეკემბრის ბოლოს მისი გარდაცვალების შემდეგ.

ანზორ გველესიანი ღირსეული პიროვნება ბრძანდებოდა. ის იყო გატაცებული: ფილოსოფიით, მხატვრული ლიტერატურით, მითოლოგიით, ასტროლოგიით, თეატრით, ბალეტით. თავის ამ გატაცებებზე ის არ საუბრობდა, რადგან იყო მოკრძალებული. მისმა კოლეგებმა გავიგეთ ბოლოს, როდესაც გავეცანით მის პუბლიკაციებს სხვადასხვა გამოცემებში.. ბატონი ანზორი იყო ფენომენალური მეხსიერების მქონე ადამიანი, საინტერესო მოსაუბრე. იყო საქართველოს ბაირონის საზოგადოების წევრი, გაგზავნილი ჰქონდა ინგლისში სტატიები ბაირონის შემოქმედების შესახებ. იყო თაყვანისმცემელი და დამფასებელი უდიდესი მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის ხელოვნებისა, მას კარგად იცნობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში. მისმა დისშვილმა, ქალბატონმა ალამ გვიამბო, რომ ახალგაზრდობაში ის მისდევდა იოგას, კარგად თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს, სმენით უკრავდა ფორტეპიანოზე, ცეკვავდა. ბატონი ანზორის კოლეგებს, მეგობრებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს შესანიშნავი ადამიანი და უნიჭიერესი მეცნიერი.

მოგონებები ანზორ გველესიანზე:

გეოფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა თამაზ ჭელიძემ თავის Facebook გვერდზე ანზორ გველესიანის გარდაცვალებისთანავე გამოაქვეყნა: „ანზორი და მე თითქმის ერთდროულად მოვედით ინსტიტუტში და ამის შემდეგ მოწმე ვიყავი მისი მეცნიერების ერთგული მსახურებისა. მისი შრომები ატმოსფეროს და იონოსფეროს ფიზიკის დარგში გამოირჩევა ორიგინალობით და მიდგომის სიღრმით. ის ნამდვილად საერთაშორისო დონის მეცნიერი იყო. ეს უაღრესად კეთილი, ღრმად განათლებული, უანგარო კაცი, გამორჩეული თავისი სიყვარულით პოეზიისა და ოპერისადმი ძალიან დაგვაკლდება ჩვენ და ქართულ გეოფიზიკას“.

გეოფიზიკის ინსტიტუტის ზღვის დინამიკისა და ატმოსფეროს მოდელირების სექტორის ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი: „ბატონ ანზორს 30 წელი ვიცნობდი მას შემდეგ, რაც გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი გავხდი. მრავალი წლის განმავლობაში ერთ ოთახში ვიჯექით. ერთობლივი სტატიაც გვაქვს გამოქვეყნებული უცხოეთის ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში. ყოველთვის მანც-ვიფრებდა მისი უდიდესი შრომისუნარიანობა. მაგონდება 90-იანი წლები, როდესაც დაარსდა ჩვენი ინგლისურენოვანი ჟურნალი „Journal of the Georgian Geophysical Society“. რთული იყო უცებ გადართვა ერთი ენიდან მეორეზე და სამეცნიერო პუბლიკაციების ინგლისურ ენაზე მომზადება. ბატონმა ანზორმა უმძიმესი ტვირთი იკისრა, იგი იყო თითოეული სტატიის რედაქტორი, რასაც იგი სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად და პატიოსნად ასრულებდა. იგი იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იონოსფეროსა და ღრუბელთა მიკროფიზიკის დარგში. მაგრამ მისი ინტერესების სფერო ძალზედ ფართო იყო და მარტო გეოფიზიკური პრობლემებით არ შემოიფარგლებოდა. ყოველთვის მაცვებდა და მხიბლავდა მისი ფართო ერუდიცია. იყო ბალეტის დიდი მოყვარული და პროფესიონალურ დონეზე მცოდნე, ბაირონის პოეზიის ბრწყინვალე მცოდნე და შემფასებელი და ა.შ. დასანანია, რომ იგი ვეღარ შემოაღებს ჩვენი სამუშაო ოთახის კარს მისთვის დამახასიათებელი ღიმილით და იუმორით. მშვიდობით ძვირფასო ანზორ, ნათელში იყოს შენი სული.“.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური მოდელირების და რიცხვითი მეთოდების განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ვაშაყმაძე: „ძნელია შეეგუო იმ მოვლენას, აიტანო დარტყმა, სათანადო პატივი მიაგო იმ დიდ პიროვნების ხსოვნას, რომელიც უკავშირდება პროფესორ ანზორ გველესიანის გარდაცვალებას. პირველ რიგში მეცნიერებამ ფიზიკა-მათემატიკის მიმართულებით დაჰკარგა ნიჭიერი მკვლევარი, შრომისმოყვარე და ფართოდ ერუდიტი არა მარტო გეოფიზიკის, არამედ მომიჯნავე დარგებში, რომელიც უთავსებდა ახალ მეცნიერულ მიღწევებს ექსპერიმენტალური მონაცემების ღრმად გააზრებასა და მათ მისადგებას თეორიული ხასიათის შედეგებისადმი. ჩემი საწიერიდან ძნელია მოინახოს გეოფიზიკოსი, რომლისთვისაც მისაწვდომი იყო თანამედროვე ფიზიკის უახლესი მიღწევები. განსხვავებული ხასიათის მათემატიკურ აპარატთან ქართული გეოფიზიკის თვალსაჩინო მიღწევების ნუსხაში იკვეთებოდა ან თეორიული, ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებისადმი გამორჩეული განსხვავება და ინტერესი. პროფესორ ანზორ გველესიანის სამეცნიერო მემკვიდრეობაში ამ ზღვარის გავლება თითქმის შეუძლებელია, რაზეც მიუთითებს სიცოცხლის ბოლო წუთებში გამოქვეყნებული ორი მონოგრაფია.“

ამ მცირე მოცულობის მოგონებაში შეუძლებელია პროფესორ ანზორ გველესიანის მეცნიერული შედეგების მიმოხილვაც კი, აუცილებელია მისი მოღვაწეობის იმ მხარის გვერდითა ვლა, რაც განსვენებულის ინტერესების მიღმა არ დარჩენილა. პროფესორი ა. გველესიანი გახლდათ ოთხენოვანი (ქართული, რუსული, სომხური, ინგლისური) პოეზიის ფაქიზი და დახვეწილი მსახური, ჯორჯ გორდონ ბაირონის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, კლასიკური ოპერისა და საბალეტო ხელოვნების საზოგადოების მიერ აღიარებული მაღალპროფესიული დონის მქონე სპექტაკლების დაუღლეი მსმენელი და მაყურებელი, განცდილის თავისებურად გადმოცემისა და ანალიზის დიდოსტატი. თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს „რუსკი კლუბის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მისი ღრმა ხასიათის სტატიები.

სიმართლის ძიებაში პროფ. ანზორ გველესიანი უმაგალითო გახლდათ. იგი თავისებურად რამოდენიმე კვირასა თუ თვეს უთმობდა უწყვეტ ფიქრს, რათა განეჭვრიტა სიახლე, დამახასიათებელი ადამიანის ფენომენისა.

ლ. დარახველიძე

ДОКТОР ФИЗ.-МАТ. НАУК АНЗОР ИОСИФОВИЧ ГВЕЛЕСИАНИ

12 декабря 2020 года скончался главный научный сотрудник Института геофизики, доктор физико-математических наук, известный исследователь физики атмосферы, ионосферы и магнитосферы, кавалер ордена Чести Грузии, замечательный человек Анзор Иосифович Гвелесиани.

А.И. Гвелесиани родился 12 августа 1937 года в Тбилиси, в семье служащих. Отец, историк по образованию, участник Великой Отечественной войны 1941-1945 гг., погиб на фронте. Мать- филолог по образованию, оставшись одна с двумя детьми, занялась медицинской службой и воспитала двух образованных, влюбленных в книгу личностей. А. И. Гвелесиани в 1955 г. окончил среднюю школу с золотой медалью, а в 1960 году – физический факультет Тбилисского государственного университета по специальности «Теоретическая физика». В университете он учился очень хорошо, выделялся среди однокурсников тем, что лучше других мыслил, делал правильные выводы по всем интересующим со-курсников вопросам, пропадал в Публичной библиотеке, которая всегда являлась центром образования. В 1958 году был на целине вместе со студентами университета. С 1961 года А.И. Гвелесиани – сотрудник Института геофизики. Работал в отделе физики атмосферы, учился в заочной аспирантуре и в 1970 году в Ленинградском гидрометеорологическом институте защитил кандидатскую диссертацию на тему: «Некоторые вопросы эволюции градовых частиц». Им теоретически и экспериментально была исследована кинетика и гидродинамика отрыва жидких пленок воды с поверхности ледяных частиц различной формы и столкновения капель воды с ними с учетом сопровождающих эти процессы фазовых переходов при наличии и отсутствии внешнего электрического поля.

В 1973 году в связи с развитием теоретических и экспериментальных исследований в области физики верхней атмосферы под руководством проф. А.Г. Хантадзе в институте была основана лаборатория ионосферы. Ведь ионосфера расположена между слоями атмосферы снизу и магнитосферной плазмы – сверху. В ионосфере происходят многочисленные возмущения с большим пространственным и временным спектром, которые изучались в лаборатории. С 1981 года в связи с интенсивным развитием работ по физике магнитосферы Земли лаборатория была переименована в отдел ионосферы и магнитосферы. Отдел занялся теоретическими исследованиями динамики ионосферной и магнитосферной плазмы, диффузионной кинетикой вол-

новых процессов и магнитной гидродинамикой проводящей атмосферы. Изучались собственные колебания магнитосферы на основе исследований волн Россби. А.И. Гвелесиани интересовали эти вопросы, и он в 1974 г. перешел в лабораторию ионосферы. А.Г. Хантадзе и А.И. Гвелесиани наметили пути поэтапного моделирования крупномасштабных динамических процессов. А.И. Гвелесиани нашел новые категории движения, обобщил некоторые вращательные движения проводящих циклонов и антициклонов и нашел два класса решений для низкой с конечной проводимостью атмосферы. Совместно с проф. А.Г. Хантадзе впервые была построена система циркуляционных ячеек в меридиональном и горизонтальном сечениях, являющаяся наглядной иллюстрацией трехмерной циркуляции атмосферы на ионосферных уровнях. В общем комплексе работ по исследованию динамического режима в верхней атмосфере проведен цикл аналитических работ, позволивших построить различные теоретические модели области F-ионосферы и раскрыть физический механизм ее формирования

В 1979 году, на заседании Специализированного Совета Института геофизики А.И. Гвелесиани успешно защищает диссертацию на соискание ученой степени доктора физико-математических наук на тему: «Исследование движений проводящей атмосферы и проблемы физики ионосферы». В 1983 году он был утвержден в звании старшего научного сотрудника по специальности «Геофизика». С 1993 года руководил отделом ионосферы и магнитосферы, а с 2006 года руководил Сектором физики солнечно-земных связей. С 2016 года А.И. Гвелесиани главный научный сотрудник Сектора физики атмосферы. В ноябре 2020 года он успел подготовить к изданию две монографии «К вопросу о динамике ионосферно-магнитосферной плазмы Земли», в которой представлены результаты собственных исследований в области физики ионосферы и магнитосферы за последние десятилетия и монографию «Кинетика фазовых переходов воды в чистой и облачной турбулентной атмосфере», выполненную в Секторе физики атмосферы. В первой монографии развивается метод условий динамической возможности движения применительно к вязкой проводящей атмосфере для чисто МГД- и крупномасштабных циркуляционных типа циклонических и антициклонических движений в ионосфере; дается аналитическая трехмерная модель движений в ионосфере и численно строится система горизонтальных ветров в планетарном масштабе; дается трехмерная глобальная модель системы крупномасштабных ветров и меридиональных циркуляционных движений; дается аналитическая теория структуры ветровых и волновых движений в ионосфере. Во второй монографии рассматриваются эксперимент и теория моделирования процессов роста и таяния ледяных сфер, изучается и теоретически объясняется внутренняя структура искусственных и естественных градин; рассмотрены случаи градобитий на основе развитой теории эволюции градин; теоретически изучается эволюция парового пузырька в переохлажденной перегретой воде, как вариационная задача; получены соответствующие уравнения и их решения в аналитической форме и эмпирические формулы, обобщающие известные классические результаты. А.И. Гвелесиани был автором около 70 научных статей, трех монографий. Под его научным руководством защищено несколько кандидатских диссертаций. Он был членом редакционной коллегии издаваемых в Институте геофизики сборников «Труды института» и Журнала геофизического общества Грузии (в двух сериях, на английском языке). Позже он стал заместителем Главного редактора этих сборников. Необходимо отметить, что он не только принимал участие в редактировании этих журналов, но и по своей инициативе корректировал английские тексты журналов геофизического общества.

Анзор Иосифович Гвелесиани был блестяще образованной личностью, эрудитом широкого масштаба, но, как истинный интеллигент, никогда не показывал, что он выше по знаниям. Он был многогранным ученым, был большим знатоком искусства, философии, досконально изучал творчество любимых поэтов, цитировал их. Известно, что Анзор Иосифович увлекался балетом, но не просто как зритель, а как знаток и ценитель этого искусства. Его хорошо знали в

Тбилисском Академическом театре оперы и балета. Ему был предоставлен пропуск и разрешение садиться в первом ряду во время спектаклей. Он высоко ценил творчество «великого танцовщика и хореографа Вахтанга Чабукиани», выступил на оперной сцене с великолепной речью в связи с семидесятилетним юбилеем В.М. Чабукиани, чем очень изумил теоретиков балетного искусства. В 2018 году в журнале «Русский клуб» (2018, №2, Тбилиси) опубликовал статью «Принесенный белой кометой» о В.М. Чабукиани. Вот одна цитата из этой статьи: «Вахтанг Чабукиани, Джордж Баланчин и Гоги Алексидзе- эти три феномена в единстве как бы составляют грани платоновского тетраэдра (символа огня) – кристалла, возвращенного на благодатной почве русского классического балета в гармоническом сплетении с древней грузинской хореографией». В этом же журнале также была опубликована статья Анзора Иосифовича, посвященная памяти блистательной выпускницы Тбилисского государственного университета, физика-теоретика Дианы Вашакмадзе-Веронезе, которая параллельно кончала Тбилисскую консерваторию по классу вокала, выступала на оперных сценах США и Европы, с «неизменным успехом» выступала на сцене Миланской оперы «Ла Скала». А.И. Гвелесиани хорошо знали и в театре им. А.С. Грибоедова, ценили его продуманные высказывания о постановках театра. А.И. Гвелесиани являлся автором многочисленных исследований, статей о литературе, о писателях, о танцорах (балерине Ирме Ниорадзе), о художнице Русудан Петвиашвили, редактировал русский перевод с немецкого роман Григола Робакидзе «Хранители Грааля» (Изд-во «Хронограф», Тбилиси, 2003, перевод С. Окропиридзе) и написал изумительное послесловие к роману. Он готовил статью к столетию со смерти армянского поэта Вагана Терьяна и, чтобы хорошо познать поэзию Терьяна, выучил армянский язык. Какая редкая трудоспособность!

Анзор Гвелесиани был увлечен творчеством английского поэта Байрона, некоторое время состоял в Тбилисском Байроновском обществе. На странице «Независимой газеты» за 03.05.2012 (ng.ru/style/2012-03-05/12-gvelesiani.html) можно найти следующую информацию: «В Тбилиси в 1983 году проходила крупная советско-американская конференция по проблемам ядерной безопасности. В своем выступлении академик Георгий Голицын описывал вероятные последствия ядерной войны. Анзор Гвелесиани, взяв слово, поинтересовался у Голицына, знаком ли тот с произведением Байрона *Darkness* («Тьма») и, уловив некоторую растерянность продекламировал. Его – Голицына с описанием последствий ядерной войны почти на два века опередил Джордж Гордон Байрон. Своеобразное открытие произвело ошеломляющий эффект. Академики А.П. Капица и Г.С. Голицын еще в Тбилиси приглашали А.И. Гвелесиани на не менее представительную конференцию по той же тематике, позже он получал и другие приглашения. Но тогда он не мог ездить. Тбилисская история дошла до поэта Андрея Вознесенского, который хотел познакомиться с А.И. Гвелесиани. В лаконичном предисловии, предварившем свободный перевод «Тьмы» под названием «Ядерная зима» был упомянут грузинский физик, сделавший литературное открытие». Эрудиция Анзора Иосифовича была неиссякаемой. Он всю жизнь дружил с книгами, ночами читал, разрабатывал интересующие его темы. Работал на износ и здоровье не выдержало. Уход из жизни Анзора Иосифовича – большая потеря не только для Института. К сожалению, у Анзора Иосифовича не было своей семьи, он помогал семье своей племянницы, которую безумно любил. Все, что он делал, делал с большой любовью к людям, к делу. Заканчиваю статью любимым выражением Анзора Иосифовича: «То, что делается с любовью, не исчезает бесследно». Память о нем будет жить вечно.

Л.К. Дарахвелидзе